ოქმი N3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომის

ქ. ოზურგეთი

2018 წლის 20 სექტემბერი

12 საათი

თავმჯდომარეობდა: ლელა საჯაია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;

ესწრებოდნენ: ეროდი გორდელაძე -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; ქეთევან ვასაძე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი; საბჭოს წევრები: გიორგი ღურჯუმელიძე, მარიკა ჩხიკვიშვილი, გელა არაშიძე, ხათუნა ცერცვაძე, ნანული ორაგველიძე, როზეტა სკამკოჩაიშვილი, გელა ჩავლეშვილი, ლალი სიჭინავა, მაია ზოიძე, ბახვა დოლიძე, ლევან ნინიძე, გენო ჩავლეშვილი, თორნიკე გოგუაძე, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე ლელა საჯაია მიესალმა საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ საბჭოს მუშაობას ესწრება ყველა წევრი და საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 16 ხმით.

დღის წესრიგი:

1. ლიდერ ქალთა პროგრამის განხორციელება ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის ფინანსური უზრუნველყოფითა და მხარდაჭერით;

მომხსენებელი: ლელა საჯაია;
თანამომხსენებელი : მარიკა ჩხიკვიშვილი;

სხდომის თავმჯდომარემ ლელა საჯაიამ საბჭოს წევრებს გააცნო ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის /NDI/ საქართველოს ოფისის მიერ ორგანიზებული ტრენინგის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ითვალისწინებს დასავლეთ საქართველოს საკრებულოს წევრი ქალების გადამზადებას ლიდერ ქალთა პროგრამის ფარგლებში. საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა NDI-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგის შესახებ , რომლის მიზანია საბჭოს წევრების გადამზადება ფინანსური რესურსების მოძიების საკითხში. მან მიმოიხილა მუნიციპალიტეტებისათვის ფინანსური რესურსების მოძიებისთვის არსებული სამართლებრივი ბაზა და ისაუბრა დონორების მოძიების, მათთან ურთიერთობების დამყარების და პროცესის დაწყების მნიშვნელობის შესახებ.

გაიმართა დისკუსია მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიების მნიშვნელობაზე.

გადაწყდა , რომ ლიდერ ქალთა პროგრამაში ჩაერთვებიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ლელა საჯაია, მარიკა ჩხიკვიშვილი, როზეტა სკამკოჩაიშვილი, ლალი სიჭინავა, მაია ზოიძე და ხათუნა ცერცვაძე.

გადაწყვეტილებას მიღებულ იქნა 14 ხმით.

2. ,,ქალები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ" ინიციატივის ფარგლებში პროექტის-,, შენ გიცავს კანონი" -განხილვა;

მომხსენებელი: მაია ზოიძე

თანამომხსენებელი : ლალი სიჭინავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა მაია ზოიძემ სხდომას წარუდგინა პროექტი, რომელიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიზანია ქალთა უფლებების პოპულარიზაცია. პროექტის ფარგლებში ჩატარდება გამოკითხვა თემში, მომზადდება საინფორმაციო ფურცლები და პოსტერები, მოეწყობა შეხვედრა-სემინარი სადაც მოქალაქეები 8 სამიზნე თემში მიიღებენ ინფორმაციას ოჯახური ძალადობის და ქალთა უფლებებთან დაკავშირებით, დაიგეგმება აქცია "მე მაქვს უფლება და მე მიცავს კანონი", ჩატარდება საჯარო შეხვედრები სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობით და ერთი შემაჯამებელი ღონისძიება. პროექტის შესახებ ინფორმაცია გაშუქდება ადგილობრივ მედიაში.

სხდომის წევრებმა იმსჯელეს, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება აქტუალურ პრობლემას და დროულია მისი განხორციელება. გადაწყდა, რომ პროექტი წარედგინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას განსახილველად 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების მიზნით.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 14 ხმით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა;

ლელა საჯაია----------/ლ.საჯაია/

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე